საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №379/04
2023 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №179/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №179/04 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 08/10/2020; ს/კ: 190040000.18.011.016508) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებულ წესს დაემატოს შემდეგი შინაარის 10^1 მუხლი:

„მუხლი 10^1. გამარტივებული ემისიის პროსპექტი

1. ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება შესაძლებელია განხორციელდეს ამ წესის დანართი №11-ის შესაბამისად შედგენილი და ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული გამარტივებული ემისიის პროსპექტის საფუძველზე.

2. გამარტივებულ ემისიის პროსპექტზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი მოთხოვნები, გარდა ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“, „დ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება იმ სასესხო ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზებაზე, რომლებიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) სუბორდინირებული ან კონვერტირებადია;

ბ) უზრუნველყოფს სხვა ტიპის ფასიანი ქაღალდის შეძენის ან გამოწერის უფლებას;

გ) დაკავშირებულია დერივატივთან.“.

2. ბრძანების №1-10 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. ბრძანებას დაემატოს დანართი №11 თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი **ნათელა თურნავა**